საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კილასონია ლალი ოთარის ასული

კილასონია ლალი ოთარის ასული (დ. 1. I. 1946, თბილისი), რევმატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1989). 1969 დაამთავრა თსსი. 1976–2005 იყო თსსი-ის შინაგან სნეულებათა კათედრის თანამშრომელი; პარალელურად, 1996–2005 – უმაღლესი სკოლა „აიეტის“ შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორი; 1999–2005 – თბილ. №2 სამკურნ. კომბინატის შინაგანი სნეულებებისა და რევმატოლოგიური დეპარტამენტის, ხოლო 2005–12 –იმუნოთერაპიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა შპს „მედულას“ რევმატოლოგიური დეპარტამენტის უფროსი. 2012-იდან ხელმძღვანელობს შპს „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის“ რევმატოლოგიურ დეპარტამენტს.

კ. არის ოსტეოპოროზის ეროვნ. ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2001), ოსტეოპოროზის საერთაშ. საზ-ბა IOF-ის ნამდვილი წევრი და სხვ.

თხზ.: რევმატიზმის იმუნოლოგია, თბ., 1985 (თანაავტ. ვ. ჭუმბურიძე); ოსტეოპოროზი, თბ., 2003.